...სსრ კ. მარქსის
...ა, სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სამეგრელო, დიდის ქუჩუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
ხუთშაბათი
7
ივნისი
№67 (10304)
ფასი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემოტანილი „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის პროექტი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ გაზეთებში სახალხო განხილვისათვის.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განაზოგადოს ზემოაღნიშნული კანონის პროექტის სახალხო განხილვისას შემოსული წინადადებები და შენიშვნები და კანონპროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ წინადადებები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს 1990 წლის 15 ივლისამდე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გუმბარიძე.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. 1990 წლის 4 ივნისი.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ამზადებს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენისა და დამკვიდრების კონსტიტუციური მექანიზმის წინადადებებს. ამ მხრივ რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდიუმში, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს. ფართოდ ხდება თვალსაჩინო მეცნიერთა, სპეციალისტთა და ექსპერტთა, საზოგადო მოღვაწეთა, შემოქმედებითი ინტელიგენციის, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და გაერთიანების იმ წინადადებათა შესწავლა და გათვალისწინება, რომელთა მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ხასიათის რეფორმაციათა ალმოფხვრა, დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოების ეროვნული ფორმის ხორცშესხმა.

უკვე მომზადებულია ან მთავრდება მთელი პაკეტი კანონპროექტებისა, რომლებიც რესპუბლიკის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის სამართლებრივ საფუძვლებს შექმნის. ასეთებია კანონპროექტები საქართველოს სსრ მოქალაქეობის, საკუთრების მიწისა და მიწათსარგებლობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ალტერნატიული სამხედრო სამსახურის, მოსახლეობის სოციალური უფლებების დაცვის შესახებ და სხვა, რომელთა თაობაზეც საერთო-სახალხო განხილვის შემდეგ იმსჯელებს და დაამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია.

ამ კანონპროექტების გამოქვეყნებას დღეს ვიწყებთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონპროექტით „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ". რწმენას გამოვთქვამთ, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ფართო საზოგადოებრიობა აქტიურად გამოეხმაურებიან მას, შემოგვთავაზებენ თავიანთ მოსაზრებებს, წინადადებებს, რათა უზენაესი საბჭოს სესიაზე საბოლოოდ მიღებული ეს უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები მართლაც მთელი ხალხის აზრსა და ნებას გამოხატავდეს.

## ეს დღეები სოფლად

### მატულობს პროდუქტიულობა

ყულიშკარის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებმა გადამეტებით შეასრულეს რძისა და ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება, მატება ივნისის თვეშიც.

200 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 210 ცენტნერი რძე, ანუ წინა წელთან შედარებით 13 ცენტნერით მეტი. საშუალოდ ერთი ფურიდან 500 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 525 კილოგრამი რძე. 19 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 20 ცენტნერი ხორცი.

შარშანდელთან შედარებით 16 ცენტნერით მეტი რძე და 5 ცენტნერით მეტი ხორცი ჩაბარდა სახელმწიფოს.

### იჯარული მეთოდით

კახათის კოლმეურნეობაში, სადაც მეჩაიეობა გადასულია შრომის იჯარულ ფორმაზე 15 მაისს დაიწყეს და გრძელდება მწვანე პლანტაციიდან მოსავლის აღება. მათ სერიოზული ამოცანა აქვთ. უნდა მოკრიფონ 2.900 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მიუხედავად უამინდობისა, მოუწველობას ჩააბარეს 400 ტონაზე მეტი ნედლეული.

მექანიზირებული წესით უნდა დამზადდეს 600 ტონა ნედლეული. კომპლექსურ-მექანიზირებული ბრიგადის წევრები (მოიჯარეები ოთარ ნაყოფია, ოთარ კაკულია), ყოველდღიურ დავალებებს გადამეტებით ასრულებენ.

დღიური კრეფა აღემატება 40 ტონას.

### მეჩაიეთა სამსახურში

ზუგდიდის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების იბაზამ (დირექტორი ზ. წულეისკირი) რომელიც სოფლის მეურნეობას ამარაგებს სათანადო ტექნიკის მარაგ-ნაწილებით, საშენი მასალებით, პირველი კვარტალის რეალიზაციის დავალება შეასრულა 109 პროცენტით, ასევე შესრულებულია ხუთი თვის დავალებაც.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩაის სეზონისათვის მზადებას. სოფლის მეურნეობის მომარაგებას მანქანა-ტრაქტორთა მარაგ-ნაწილებით, საბურავებით, სამეურნეო საქონლით, ბრეზენტებით, ხელით სასხლავი აპარატებით და სხვა.

დაწინაურდნენ სამშენებლო საწყობის (გამგე რეზო იზორია), ავტოსათადარიგო ნაწილების საწყობის (გამგე ბორის ფარცვანია) მუშაკები, რომლებმაც რეალიზაციის დავალებები 180-165 პროცენტით შეასრულეს.

კოლექტივი ნახევარი წლის დავალებებს 20 ივნისისათვის შეასრულებს.

**მამუკა ახალაია,**
მთავარი ეკონომისტი.

## რეკონსტრუქცია - ავტომატიზაციის შემდეგ

სათანადო გადაიარაღება-ავტომატიზაციის შემდეგ გასული წლის დეკემბერში მწყობრში ჩადგა ზუგდიდის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის სპეციალიზირებული საწარმო (დირექტორი გ. ჩიქოვანი, ზოოტექნიკოსი ნ. ჭანტურია).

ხუთ თვეში 790 ცენტნერი ფრინველის ხორცის ნაცვლად აწარმოეს 920 ცენტნერი ხორცი. სახელმწიფოს წლიური გეგმით გათვალისწინებული 50 ტონიდან ჩააბარეს 87 ტონა ფრინველის ხორცი. ფრინველის შენარჩუნების გეგმა შესრულებულია 89,2 პროცენტით.

ხანდაზმულებისათვის მზადაა და ფუნქციონირებს შვიდი განყოფილება. შვიდივე განყოფილებაში მეფრინველე ოპერატორებისათვის გამოყოფილია დასასვენებელი ოთახები, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

შერემონტება — გადაიარაღების სამუშაოები გრძელდება. მიმდინარეობს ახალი ინკუბატორის დანადგარ-მოწყობილობათა დამონტაჟება. აგვისტოს თვიდან საწარმოს მოეხსნება პრობლემა გამოსაზრდელი ფრინველის შემოყვანისა. საწარმომ საბროილერო ფაბრიკას წელსვე უნდა გადასცეს 15 ათასი ფრთა ფრინველი სარემონტო მოზარდისათვის.

ამჟამად მიმდინარეობს 1-დან 120 დღემდე ფრინველის რეალიზაცია.

ხუთთვიურის შედეგებით პირველ ადგილზეა მეფრინველეოპერატორი ზაირა ტურავა.

## მოვუაროთ ვაზს

ვაზის კულტურამ ამ ბოლო წლებში ვერ მოიკიდა ფეხი. საგრძნობლად იკლო ვაზის ჰექტარებმა. ასე მოხდა ჯიხაშკარშიც. ადრე არსებული 35 ჰექტარიდან დღეს ამ დარგს 15 ჰექტარი უჭირავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველმა კაცმა დაკარგა ვაზისადმი პატივისცემა, რამე თუ მისი შესასყიდი ფასი საგრძნობლად შემცირდა.

მაგრამ არიან ვაზის მოყვარულებიც, რომელთა რიგშია ჯიხაშკარელი ზაურ სიჭინავა. იგი 15 ჰექტარზე გაშენებულ ვენახს უვლის აგროწესების მიხედვით. დროულად დაამთავრა რიგთაშორისი დამუშავება, წამლობა.

მსხმოიარე ვაზი მომვლელს ჰპირდება უხვ მოსავალს.

ვაზის კულტურა ყველგან ითხოვს მეტ ყურადღებას.

## დაიწყო გათოხნა

დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მთესველებმა სამარცვლედ სიმინდი დათესეს 200 ჰექტარზე, სასილოსედ 100 და სოიო 40 ჰექტარზე.

არენდატორი ქორუე ბიგვავა და მექანიზატორები: გელა ფუქავა, ტრისტან გაბელია, გონელი ჭაბუკიანი თვალნათლივ ხედავენ თავიანთ ნაშრომს. აღმოცენება კარგია, ითოხნება პირველი ჰექტარები.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში

# ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის

ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივები გარკვეული სახის ღონისძიებებს ატარებენ ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი კი ნაკლებად ზრუნავს ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საკითხი ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ გატარებული ღონისძიებების შემოწმების შედეგების შესახებ.

ბუნების დაცვის ინსპექციასთან ერთად შემოწმების ანალიზმა ცხადყო, რომ ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების კეთილმოწყობის კომბინატის, წყალკანალის მეურნეობის სამმართველოს და სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელები (მ. ლვინჯილია, ვ. ჩარგაზია, გ. კილასონია) ჯერ კიდევ არ აწესებენ სათანადო მნიშვნელობას აღნიშნული დადგენილების შესრულებას, რის გამოც ადგილი აქვს მდინარეებისა და ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს მოუთმენლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ საწარმოო გაერთიანება „საქქალაქდამრეწვის" საბინაო კომუნალური განყოფილების და წყალკანალიზაციის სამმართველოს ხელმძღვანელთა (რ. ძლენტი და გ. კილასონია) მიერ ბუნების დაცვის საკითხებისადმი კონტროლის შესუსტების შედეგად, მედსანნაწილის წინამდებარე ტერიტორიაზე და ქალაქის უსინათლოთა საზოგადოებასთან მდებარე სათვალთვალო ჭებიდან გადმოდის ფეკალური სითხე. შექმნილია ანტისანიტარული მდგომარეობა, იტბორება მიმდებარე ტერიტორია და სანიაღვრე არხების მეშვეობით ჩაედინება მდინარეებში. უფრო მეტიც, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში რუსთაველის ქუჩაზე და № 16 საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე მდებარე სათვალთვალო ჭიდან გადმოდის ფეკალური სითხე. დაბინძურებული წყალი გუბდება და ჩაედინება № 16 საბავშვო ბაღის სარდაფში.

ქალაქის კეთილმოწყობის კომბინატის (უფროსი ვ. ჩარგაზია) მხრიდან საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების შედეგად ქალაქის სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში, საკოლმეურნეო ბაზარზე, კომუნალური საცხოვრებელი სახლებიდან ხშირ შემთხვევაში ირღვევა ნაგვის გაზიდვის გრაფიკი. იქმნება ანტისანიტარია, ბინძურდება ჰაერი და ნიადაგი, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ქალაქში არსებული ნაგავსაყრელი ბაქანი მოუწესრიგებელია და არ არის სანიტარული ნორმები დაცული. არ წარმოებს კომუნალური სახლებისა და წარმოება-დაწესებულებების სარდაფების დეზინფექციის ჩატარება სანეპიდსადგურთან (მთავარი ექიმი ი. კვარაცხელია) ერთად.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (უფროსი მ. ლვინჯილია) მხრიდან დაქვემდებარებული მუშაკების საქმიანობაზე სუსტი კონტროლისა და უყურადღებობის შედეგად სანაპიროს ქუჩაზე მდებარე ავტოსამრეცხაოში ნახმარი წყალი აბინძურებს მდინარე ჩხოუშიას, აქ არსებული მექანიკური ტიპის სალექარი სრულიად ვერ უზრუნველყოფს სანიტარულ მოთხოვნებს. ამავე სამმართველოს ჰიგიენის სახლიდან (უფროსი ი. ქარდავა) გამავალი ნახმარი წყალი ჩართულია კანალიზაციის ქსელში ყოველგვარი ნორმისა და წესების დაცვის გარეშე.

მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა შექმნილი და ანტისანიტარულ ზონებად ითვლება ყველკარაქის ქარხნისა და უსინათლოთა საზოგადოების მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის მიერ უნებართვოდ აშენებული საღორეები. აქედან გამოსული გაბინძურებული ნარეცხი წყალი უყოველგვარო მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარე ჩხოუშში. საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ქალაქის ტუბდისპანსერის, ფაიფურის ქარხნის დასახლებაში, სანერგე მეურნეობასთან და ქალაქის ზოგიერთ ქუჩებში შექმნილია სტიქიური ნაგავსაყრელები, ეს კი ცუდად მოქმედებს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, აბინძურებს ჰაერს, გარემოს და ჩამდინარე წყლებს.

ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარეების, უბნის ინსპექტორებისა და სანიტარულ ზედამხედველობის სამსახურების თანამშრომლების საქმიანობა ბუნების დაცვის საკითხებისადმი ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და საჭიროებს შემდგომ გააქტიურებას.

აღნიშნულ საკითხზე სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება. ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ბუნების დაცვის საქმეში სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობის და დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობაზე სუსტი კონტროლისათვის წყალსადენ-კანალიზაციის, ჰიგიენის სახლის, კომუნალური განყოფილების კეთილმოწყობის კომბინატის უფროსებს გ. კილასონიას, ი. ქარდავას, ვ. ჩარგაზიას და ქალაქის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმს ი. კვარაცხელიას მიეცათ შენიშვნა.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი მ. ლვინჯილია იმსახურებს სასჯელს, მაგრამ ამჟამად კონტროლის კომიტეტის მიერ სამმართველოში მიმდინარეობს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთლიანი შემოწმება და მისი განხილვის დროს გათვალისწინებული იქნება აღნიშნული ნაკლოვანებები. აგრეთვე, მიღებულ იქნა ცნობად საწარმოო გაერთიანება „საქქალაქდამრეწვის" კომუნალური მეურნეობის უფროსის რ. ძლენტის განცხადება, რომ მედსანნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები დამთავრდება ერთ თვეში და ბუნების გაბინძურების კერები ლიკვიდირებულ იქნება.

ბუნების დაცვის რეგიონალური კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ხუბულავას დაევალა გაატაროს მკაცრი ზომები, პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულების, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ბუნების დაცვისათვის.

ნორჩთა საანგარიშო კონცერტზე

# მამულის ლხინის განმტკიცებაში

შემოქმედებით ღვწაში, მამულის ლხინის განმტკიცებაში, ეროვნულ ძირებთან მიახლოების ცდაში გაიარა ნორჩთა მხატვრული აღზრდის დღეებმა. სახეშეცვლილი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მხატვრული კოლექტივები ანგარიშით წარსდგნენ ფართო საზოგადოების წინაშე.

—ჩვენც განვიცადეთ ის,—ამბობდნენ პატარები,—რასაც ჩვენი სამშობლო განიცდიდა, ჩვენც დავიჩეხეთ, ჩვენც მოგვკლეს და ჩვენც აღვსდექით ქაშუეთთან, ცხუმსა და ქსნის საერისთაოში, ქართლსა და ბორითში... აღვსდექით, რათა „მამულს ვუთხრათ გამარჯვება!".

გვინდა, ძალიან გვინდა ჩვენი კურთხეული მამულის სახელს, მის ჩუქურთმას ჩვენი ნიჭის მადლიც შუქად შევმატოთ.

ამ შუქით იყო გაცისკროვნებული საანგარიშო კონცერტიც.

კონცერტში მონაწილეობდა მოსწავლეთა საქალაქო თეატრ-სტუდია „ათინათი". სტუდიის ნორჩი მსახიობები ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადის მრავალგზის ლაურეატები არიან. მიმდინარე წელს მათ მიერ დადგმული სპექტაკლი „ქვეყნად მოარული კაცი" სამჯერ გადაიცა ტელევიზიით. მათ ამჯერად წარმოადგინეს ნაწყვეტი სპექტაკლიდან „უკატო უკლესია, ანუ დამიბრუნეთ ჩემი დედოფალა".

მაყურებელთა წინაშე წარსდგა ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „მაფშალია" ხალხურ საკრავთა ორკესტრით, სამეჯლისო ცეკვის ანსამბლი „ეგრისის მერცხლები", უმცროსკლასელთა ანსამბლი „გაზაფხული", „ვიოლიში", რომლებმაც ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში უკვე წარუდგინა ტელემაყურებელს.

— ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლმა „კოლხამ" ამ სასწავლო წლის მანძილზე ორგზის მოხიბლა საკავშირო მაყურებელი, მონაწილეობდა ჩერნობილის ტრაგედიისადმი მიძღვნილ ტელემარათონში და ათასი მანეთი ჩაირიცხა ჩერნობილელ თანატოლების დახმარების ფონდში.

საინტერესოდ წარსდგნენ ნორჩი დეკლამატორები.

საღამო მიეძღვნა მერაბ კოსტავას ნათელ ხსოვნას.

კონცერტის შემოსავალი (500 მანეთი) მთლიანად გადაირიცხა მერაბ კოსტავას ფონდში.

# კოოპერატორთა თავისუფალი პროფესიული კავშირი

სახალხო მეურნეობაში ეკონომიკის ახალი სექტორის კოოპერაციული მოძრაობის განვითარებასთან ერთად თავი იჩინა კოოპერატორების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ბევრმა პრობლემამ. კოოპერატივების დიდი უმრავლესობა პროფკავშირული ორგანიზაციებისა და შესაბამისად მშრომელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მიღმა აღმოჩნდნენ.

აღნიშნული პრობლემის დაძლევისა და კოოპერატიული მოძრაობის შემდგომი გაფართოების მიზნით გასული წლის 27 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს კოოპერატივების მუშაკთა პროფკავშირის დამფუძნებელი ყრილობა, შეიქმნა კოოპერატორთა თავისუფალი პროფესიული კავშირი, არჩეულ იქნა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობს. ყრილობაზე დამტკიცებული პროფესიული კავშირის წესდებიდან ჩანს, რომ ახალი პროფკავშირი მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა არსებულისაგან.

ანალოგიური პრობლემების მოსაგვარებლად მიმდინარე წლის 8 მაისს შედგა ქ. ზუგდიდში ზუგდიდის რაიონისა და ქალაქის კოოპერატორთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის დამფუძნებელი კონფერენცია. არჩეულ იქნა ზუგდიდის რეგიონის კოოპერატორთა პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი ორგანო. აღიარებულია დამოუკიდებელი პროფკავშირის წესდება და პროგრამა, რომელიც ამტკიცებს, რომ ის თავის საქმიანობაში არ არის დამოკიდებული სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ორგანოებზე, პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, არ არის მათ წინაშე ანგარიშვალდებული და არ ექვემდებარება მათ კონტროლს, დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის სტრუქტურას და ურთიერთობას სხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ინარჩუნებს ორგანიზაციულ საფინანსო და სამეურნეო დამოუკიდებლობას. პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ მათ განკარგულებაში არსებული პროფკავშირული სახსრების გამოყენების სრული თავისუფლება.

ახალ პროფესიულ კავშირს აქვს შემუშავებული სერიოზული გეგმები კოოპერატორთა სოციალური პრობლემების გადაჭრის უზრუნველსაყოფად.

ამავე დროს შევახსენებთ ზუგდიდის კოოპერატორთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის წევრებს და პოტენციურ წევრებს, რომ კოოპერატივის უშაკების პროფკავშირის წევრებზე ხელფასიდან დაკავებული პროფსაწევროს დარიცხული ხელფასის 1 პროცენტი ყოველ წლიურად უნდა გადაირიცხოს ბინსოცბანკის ხაზზე ანგარიშზე.

ხელფასზე დარიცხული სოციალური დაზღვევის ანარიცხები, რომლის პროცენტი განსაზღვრული იქნება დადგენილი წესის მიხედვით კოოპერატივის მიერ სამეურნეო საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ცნობის თანახმად, ყოველთვიურად უნდა გადაირიცხოს ბინსოცბანკის № 691108 ანგარიშზე.

დამატებითი ცნობების შესახებ შეგიძლიათ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ლენინის ქ. № 9 ზუგდიდის კოოპერატივების პროფკომიტეტი.

დ. იზორია,
ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის კოოპერატივების პროფკავშირის თავმჯდომარე.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუგდიდის რაიონისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ციხეების შესახებ

დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში მდებარე ნაქალაქარ-ნაციხართა შესწავლა რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს, მიუხედავად ამისა, ძეგლების ძალიან მცირე ნაწილია ჯერ კიდევ გამოვლენილი.

წინამდებარე წერილში ჩვენ დავასახელებთ არა მთლიანად მაშინდელი სამეგრელოს ციხეებს, არამედ შემოვიფარგლებით ადგილობრივი მონაკვეთით. კერძოდ, ზუგდიდის გარშემო მდებარე ტერიტორიით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ციხეების სიმრავლეს თავისთავად განსაზღვრავდა გარეშე მტრების ხშირი თავდასხმა და მრავალრიცხოვნება.

უპირველეს ყოვლისა, დავასახელებთ ჭაქვინჯის ციხეს, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ დიდსა და საკმაოდ ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში სოფელი ჭაქვინჯი ორად გაუყვიათ. იმ ადგილისათვის, სადაც ციხეა აღმართული, „ჯიხას-კარი" („ჯიხა" მეგრულად ციხეს ნიშნავს) შეურქმევიათ, ხოლო მეორე ნაწილს, კვლავ ჭაქვინჯი დარჩენია.

ჭაქვინჯის ციხე საკმაოდ მაღალ გორაზე დგას. ჩვენს წინაპრებს მარჯვედ შეურჩევიათ მისთვის ადგილი. მზვერავს შეეძლო იქიდან შორ მანძილზე შეემჩნია მტერი.

ისტორიულ წყაროებში ჭაქვინჯის ციხე ფაქტიურად მე-17 საუკუნემდე არ იხსენიება. ეს ცნობა ვახუშტი ბაგრატიონის „ქართლის ცხოვრებიდან" მოდის. (ტომი — მე-4, 1973, გვ. 449—450).

ჭაქვინჯის ციხე მოკლედ აღწერა აგრეთვე ს. მაკალათიამ (სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941, გვ. 233-234), რომელიც ციხეს ათარიღებს მე-16—მე-17 საუკუნეებით.

აღნიშნულ ციხესთან შედარებით კარგად არის შემონახული რუხის ციხე, რომელიც ყველაზე დიდი თავდაცვითი ნაგებობა იყო ბარის სამეგრელოში. წინარე ხანისაგან განსხვავებით, მე-17—მე-18 საუკუნეებში, როდესაც შინაფეოდალურ ომებთან ერთად გარეშე მტრის წინააღმდეგ გამოსვლა იყო აუცილებელი, შექმნილმა ვითარებამ აიძულა ბარის მოსახლეობა ეშენებინა დიდპერიმეტრიანი ციხესიმაგრეები დასახლებულ პუნქტთან ახლოს, რათა მოსახლეობას მოესწრო ანაზდეული თავდასხმის დროს თავი შეეფარებინა გამაგრებული ადგილისათვის. სწორედ ამ მიზნებს ისახავდა რუხის ციხის დაარსება მე-17 საუკუნის 30-იან წლებში ლევან მეორე დადიანის მიერ. იქვე ახლოსაა ოცარცეს ციხე.

მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს ნაბაკევის ციხე. იგი მეტად დაუზიანებია მტერს... მისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, მაგრამ მდინარის მარცხენა მხარეს, კახათის ციხეა, ხოლო უფრო ქვევით კი, იქ, სადაც ენგური ზღვას ერთვის — ანაკლიის ციხე.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილმა ციხეებმა, თავისი გეოგრაფიული, სტრატეგიული მდებარეობითა და მნიშვნელობით დიდი როლი შეასრულეს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნული ციხე-სიმაგრეები ამთავითვე იყო პლაცდარმი მომხდური მტრის წინააღმდეგ ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ერთიანი ძალებით გამოსვლისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი წინაპრები მარტოოდენ ამ ციხეების იმედით როდი იყვნენ. მათ ასევე გამაგრებული ჰქონდათ სამეგრელოს შიგნითა ნაწილიც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ზუგდიდის ზემოთ სოფელ კორცხელის სანახებში ე. წ. ჩიჯისკარის ციხე, სამხრეთით—ხიბულას ციხე, რომელიც მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, მაღალ კლდეზეა შემართული და სხვა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ეს მნიშვნელოვანი ნაწილი ათასი წლების განმავლობაში იცავდა თავს მომხდური მტრისაგან. მრავალგზის განუცდიათ დაცემა-აოხრება, მაგრამ დაზიანების მასშტაბს არასოდეს შეუძრწუნებია ციხის მესვეურები და ნანგრევებზე ახალს აგებდნენ, რათა ახალი ძალითა და შემართებით დახვედროდნენ მომხდურ მტერს.

**მერაბ ჯიქია,**
თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

ავტორის თხოვნით, წერილის ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სადროშოს ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის ფონდში.

# მ. მ. ყალიჩავა



გარდაიცვალა ზუგდიდის ადგილობრივი მრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, სკკპ წევრი 1964 წლიდან მურთაზ მიხეილის ძე ყალიჩავა.

მ. ყალიჩავა დაიბადა 1941 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში რკინიგზელის ოჯახში.

1958 წელს დაამთავრა ქ. ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში მუშად, ორი წლის შემდეგ გადაიყვანეს ამავე კომბინატის საფუარის საამქროში უფროს მესეპერატორედ.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ 1965 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ინსტიტუტში და მიიღო ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობა. 1970 წლიდან მუშაობდა ენგურქაღალდკომბინატში სატყეო ბირჟის ეკონომისტად, წარმოების მომზადების უფროს ინჟინრად, ქაღალდის წარმოების საამქროსა და გოფრირებული მუყაოს მკეთებელი საამქროს უფროსად.

1974 წლის იანვარში არჩეულ იქნა სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1978 წლიდან პირველ მოადგილედ. 1985 წელს გადაიყვანეს ზუგდიდის მანქანათმშენებელ ქარხანაში დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1987 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ადგილობრივი მრეწველობის ზუგდიდის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად.

მ. ყალიჩავა ენგურქაღალდკომბინატში მუშაობის პერიოდში არჩეული იყო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ, წლების განმავლობაში იყო პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის წევრი, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრი, დეპუტატი, დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

მ. ყალიჩავას, უნარიანი ორგანიზატორის, შესანიშნავი ადამიანის სახელი მარად დარჩება მეგობართა ხსოვნაში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# პრობლემა, რომელიც გადაწყვეტას ელის

მიმდინარე წლის 31 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის გ. კურტანიძის პასუხი ამავე გაზეთის 1986 წლის 6 ოქტომბრის კრიტიკულ გამოსვლაზე „ელირსებაო ზუგდიდსა". მე მგონი „ელირსება", თუ ამ საქმეს მეტი მონდომებით, საქმის ცოდნითა და კომპეტენტურობით მივუდგებით. ხოლო პასუხში, რაც ჩათვლილია აეროდრომის მშენებლობის ერთადერთი და შედარებით ნაკლებხარჯიან ვარიანტად, არა მგონია მთლად მართლაც ერთადერთი და ოპტიმალური გადაწყვეტა იყოს ამ საქმისა.

სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სპეციალურმა კომისიამ თუ არაერთხელ მოახდინა ზუგდიდის რაიონში ტერიტორიის სარეკოგნოსცირებო შესწავლა, აუცილებლად განიხილავდა აეროდრომის უკვე არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტს, რომელიც ინგირის ხეობაშია დაპროექტებული. საპროექტო ღირებულებით აეროდრომის მშენებლობის თანხა აჭარბებს 20 მილიონ მანეთს. თანაც 1984 წლის მშენებლობაზე ფასების მომატებამდე გაანგარიშებით, მაგრამ პროექტის განხილვისას ნამდვილი გულშემატკივარი აუცილებლად უნდა დაინტერესებულიყო, თუ თუ არა საპროექტო ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა. ამ საქმის ყველაზე მისაღები ვარიანტი და აღმოაჩენდა, რომ უსაფრთხოების ნორმების დაურღვევლად ღირებულების ორჯერ და მეტად შემცირების შესაძლებლობა არსებობს, მაშინ კი უკვე არსებული აეროდრომის რეკონსტრუქცია ერთადერთ ნაკლებად ხარჯიან და პრაქტიკულად საკმაოდ ბევრი წინააღმდეგობის მქონე ვარიანტად ვერ ჩაითვლებოდა, რაზეც გარკვეული მიზეზების გამო ვერ შევჩერდებით.

რაც შეეხება ამჟამად მოქმედ აეროდრომს, მის რეკონსტრუქციაზეც ერთბაშად არ შეიძლება ხელი ავიღოთ, მაგრამ თუ ხელს მოვკიდებთ მის რეკონსტრუქციას, მაშინ არა იმ ვარიანტით, რომელიც 7-10 ოჯახის ასახლებისა და ზოგიერთი სამრეწველო ობიექტის გადატანას მოითხოვს, არამედ შესწავლილ უნდა იქნას ვარიანტი, რომლის მიხედვით შეიძლება აეროდრომის რკინიგზის მაგისტრალის პარალელურად გადაწყვეტა, სადაც ზუგდიდ-ანაკლიის ავტომაგისტრალი მცირე მონაკვეთში გვერდზე იქნებოდა გატარებული (რაც არსებულ ნორმებს არ ეწინააღმდეგება) და ორიოდე ჰექტარი ჩაის პლანტაციის აღებით მივიღებდით უფრო ნაკლებად ხარჯიან ვარიანტს, ვიდრე თვით სამოქალაქო ავიაციის სპეციალისტები გვთავაზობდნენ. ასევე შეიძლება იმ ვარიანტის განხილვა, რომელიც ქალაქიდან რკინიგზის ხაზის გატანით მიიღწევა, რომელიც თავისთავად ქალაქის დღევანდელი პირობებისათვის აუცილებლად გადასაწყვეტია. მხედველობაში მაქვს, რომ რკინიგზა, რომელიც ქალაქს დღეს პრაქტიკულად ორად ყოფს, მეტად აძნელებს ქალაქის ორი ნაწილის ერთმანეთთან კავშირს. რკინიგზა დღეს ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების დაცვის ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი. რკინიგზის გატანით კი ქალაქი მიიღებდა მის შუაგულში არსებულ შესანიშნავ მაგისტრალურ ქუჩას, რომელიც პირდაპირ დაუკავშირდებოდა ინგირის რკინიგზის სადგურს. არსებული რკინიგზის სადგურში კი მოეწყობოდა საქალაქთაშორისო ავტოსადგური. მგონია, რკინიგზით მოსარგებლე მგზავრთათვის დიდი გართულება არ იქნებოდა არსებული სადგურის ხუთიოდე კილომეტრით გადატანა. ხოლო ის ესტაკადა, რომელსაც ორიოდე წლის უკან საკონსერვო ქარხანასთან ითვალისწინებდნენ, უნდა აშენდეს ადრე „ვექტორად" წოდებული ქარხნის გასწვრივ, სადაც უნდა გაიაროს ზუგდიდ-ჯვარის ჩიხურმა რკინიგზამ.

ვფიქრობ, რომ რკინიგზის გატანის ყველაზე უფრო შესანიშნავი შესაძლებლობა ქალაქს ჰქონდა მაშინ, როცა ხუდონჰესის ლიკვიდაციისათვის გამოიყო მნიშვნელოვანი თანხები. სწორედ ამ თანხაში უნდა ჩამქლარიყო ენგურჰესის მშენებლობისათვის გაყვანილი რკინიგზის გატანის თანხებიც. თუ მოვინდომებთ შეიძლება დღესაც არ იყოს გვიან.

იქნებ ამ თემასთან არც იყოს კავშირში, მაგრამ მაინც მინდა შევეხო ჩემი აზრით ჩვენი ქალაქისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ეხება ქალაქის გარსშემოსავლელი გზის მშენებლობას. როგორც ჩემთვის ცნობილია, ქალაქის დაკვეთით გზატკეცილების სამინისტროს თავის სამუშაო გეგმაში შეტანილი ჰქონდა ქალაქის გარსშემოსავლელი გზის პროექტირების საკითხი. საქმე ეხება იმ გარსშემოსავლელ გზას, რომელიც უნდა დაიწყოს სოფელ ხამისქურთან (ხობის რაიონი) და დამთავრდეს სოფელ ჭუბურხინჯში (გალის რაიონი). ამ უზარმაზარი სამუშაოების მოგვარება, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ქალაქი თავის თავზე იღებდა, თავიდანვე მკაცრად უპერსპექტივოდ უნდა ჩათვლილიყო. ჩემთვის უცნობია, რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ, მაგრამ ცხადია, რომ არავითარი ზრუნვა არ იგრძნობა ასეთი გარსშემოსავლელი გზის უფრო ოპტიმალური ვარიანტით გადაწყვეტის საქმეში.

კარგი იქნება თუ კვლავ წამოვწევთ ქალაქის გარსშემოსავლელი გზის პროექტირების და მშენებლობის პრობლემას. ამით ნამდვილად დიდი საქმე გაკეთდება. ისედაც გადატვირთული ქალაქის ქუჩები გამონთავისუფლდება ზედმეტი ტრანსპორტისაგან.

**ზაურ კურდღელია,**
„საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების მთავარი არქიტექტორი.

რედაქციისაგან: პუბლიკაცია დასაბეჭდად მზად იყო, როცა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში მოეწყო ქალაქის შემდგომი პერსპექტიული განვითარების ახალი გენერალური გეგმის საჯარო განხილვა პროექტის ავტორთა ჯგუფისა და სპეციალისტთა მონაწილეობით.

პროექტის განხილვისას კამათში მონაწილენი შეეხნენ ზოგიერთ იმ პრობლემას, რომელიც ამ პუბლიკაციაშია წამოწეული.

ვფიქრობთ, აზრთა შეჯერებით კარგი პერსპექტივა იკვეთება, როგორც აეროდრომის მოწყობის, ასევე რკინიგზის ხაზის ქალაქიდან გატანის და გარშემოსასვლელი გზის მშენებლობის პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსებობს თუ არა ცირა-ბატონები?

ხშირად გახშირდა შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ავადმყოფობას მიაწერენ უგრეთწოდებულ „ცირა ბატონებს“ და ნათესავების თუ მკითხავების რჩევით მოჰყავთ შემლოცველი. ავადმყოფობა იღებს ქრონიკულ ხასიათს, რთულდება და ზოგჯერ იღუპება კიდეც ადამიანი, შემლოცველები თავს იმართლებენ, დააგვიანეთო. თუ გაუარა ავადმყოფობამ უამრავ შესაწირს ებულობენ.

ჩემს ნაცნობებში ერთ ნაკლებად-უზრუნველყოფილ ოჯახში ბავშვი გახდა ავად, სიცხის გამო ჩემი აზრით, კრუნჩხვები ჰქონდა, მოიყვანეს ვიღაც ქალი, შელოცვა უნდა, დედალი უნდა დაკლათო, თქვენი დაკლული არ შეიძლებაო, მოიყვანა დამკვლელი, კარგად მოილხინეს, დამკვლელმა 10 მანეთი წაიღო, შემლოცავმა 50 მანეთი. ბავშვი მეორე-მესამე დღეს რა თქმა უნდა, კარგად გახდა, მაგრამ არა მგონია ეს ყველაფერი შელოცვის შედეგი იყოს.

მეც და სხვასაც ბევრს აინტერესებს, მართლა არსებობს თუ არა ასეთი ავადმყოფობა „ცირა ბატონები“, რა ფუნქცია აკისრია შემლოცველებს, ხომ არ არის მათ შელოცვაში ფსიქოთერაპიის ნიშნები. აუცილებელია ამ საკითხებზე ექიმი-ინფექციონისტების საუბრები, სპეციალისტების დასკვნები. იქნებ ეს მოვლენა კარგად არ არის შესწავლილი?

იმედია ჩემს წერილს გამოეხმაურებიან ზუგდიდის გამოცდილი მედიკოსები.

გ. ზუგდიდელი.

## „საქწიგნის“ ზუგდიდის მაღაზია გვთავაზობს:

„ისტორიული ორატორები“ — ეს წიგნი აკაკი ბაქრაძის წინასიტყვაობით გამოსცა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა.

გაგაცნობთ ბატონ ა. ბაქრაძის წინასიტყვაობას: „თხზულებანი, რომელიც წინამდებარე კრებულში შევიდნენ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. მათი პირველი გამოცემა 1918-19 წლებში მოხდა, მაშინ, როცა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო არსებობდა, ამ დროს გამოცემულ წიგნებს ქართველი მკითხველი სრულებით არ იცნობს, არ იცის როგორ ფიქრობდნენ, როგორ აზროვნებდნენ, როგორი შეხედულებები ჰქონდათ, ამ თხზულებათა პირველი გამოქვეყნების შემდეგ ბევრი ახალი დოკუმენტი შემოვიდა მეცნიერულ მიმოქცევაში ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ თხზულებაში ყველაფერი მაინც ისეა დატოვებული, როგორც მათი პირველი გამოცემის დროს იყო“.

კრებულში შეხულია ივ. ჯავახიშვილის, ზ. სურგულაძის, ლისტის წერილები — საქართველოს ისტორიული საზღვრების, მე-18 საუკუნის საქართველოსა და რუსეთს შორის დამოკიდებულების, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობისა და საქართველოს რესპუბლიკის ფულებრივი მდგომარეობის შესახებ.

* * *

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა როლამ ქუმსიაშვილის „ეგნატე ფიფია“, წიგნი დიდი მეცნიერის, კლინიცისტისა და ქირურგის, ზღაპრული ოსტატისა და საოცრად განსწავლული პიროვნების ეგნატე ფიფიას ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს.

ეცნობი ამ წიგნს და ერთხელ კიდევ უახლოვდები ამ კეთილშობილი კაცის ძიებებითა და მიგნებებით სავსე იდუმალ სამყაროს.

## ეს სიახლეა და უახლოეს დროში

კახათში მიმდინარეობს და უახლოეს დროში დამთავრდება სპორტკომპლექსის მშენებლობა, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს სოფლად სპორტული მუშაობის ამაღლებას.

## სპორტი

ახლახან რუხის სპორტკომპლექსში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რაიონული პირველობა პნევმატური შაშხანიდან ტყვიის სროლაში, სადაც მონაწილეობდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა 25-მდე გუნდი.

გრიგოლიშის, ჭკადუაშის, ცეკავშირის, ხეცერის, ინგირის, ზედაეწერის, ანაკლიის, განმუხურის,

# რაიონში საუკეთესონი

ლებათა 25-მდე გუნდი.

კოლმეურნეობებს შორის 122 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ჭითაწყარის გუნდმა (შერმადინ ლაშხიას ოჯახმა), ამდენივე ქულით მეორე ადგილზე გავიდა ოდიშის გუნდი (ედისონ სართანიას ოჯახი), მესამე ადგილი წილად ხვდათ რუხელებს.

მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ონარიის გუნდმა (ზური ქვანიას ოჯახი), მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ აბასთუმნისა და დიდინეძის მსროლელთა გუნდები. კარგად იასპარეზეს ურთის, შამგონის, ჯიხაშკარის, ახალსოფლის, ცაიშის, ოქტომბრის, კოლხიდის, რაიკოოპკავშირის წარმომადგენლებმა.

შეჯიბრებას თავი აარიდეს დარჩელის, ერგეტის მეცხოველეობის, რაისაავადმყოფოს, ჩაის ფაბრიკების, ჩაის გადამწონი ფაბრიკის, ინგირისა და ყულიშკარის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. ეტყობა, ამ დასახელებულ ორგანიზაციათა მესვეურებს ნაკლებად ახსოვთ ფიზიკური კულტურა და სპორტი. მსგავსი გულგრილი დამოკიდებულებით ხელი ეშლება სპორტის მასობრიობას, ჩრდილი ადგება რაიონის სპორტულ პრესტიჟს, რაც მიუტევებელია.

ო. ხუფენია,
შეჯიბრების მდივანი.

## გ. გ. მაქაცარია

გარდაიცვალა ხაწარმოო გაერთიანება „მედპლასტის“ ზუგდიდის სამედიცინო ნაკეთობათა ქარხნის (ადრე „ვექტორის“) დირექტორის მოადგილე, ქალაქის ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გიგლა გრიგოლის ძე მაქაცარია.

ქალაქის №8 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, 1964-82 წლებში მუშაობდა ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტში“ ინჟინრად, უფროს ინჟინრად, ჯგუფის უფროსად, დირექციის მთავარი ინჟინრის მოადგილედ.

1983 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მიახმარა ახალი დარგის ზუგდიდში სამედიცინო მრეწველობის საწარმოს დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციაში



გაშვების მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. იგი იყო შესანიშნავი სპეციალისტი, ენციკლოპედიურად განათლებული პიროვნება, რომელიც მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ნატიფი გემოვნების მკითხველი, მრჩეველი, მუდამ დაინტერესებული და მონაწილე იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებისა, რომელთა შორის უპირველესად მიაჩნდა მაღალი ზნეობა, ერთიანობა, ერთგულება.

ადამიანური სითბო, ღრმა ინტელექტი, მკაცრი მომთხოვნელობა, მაღალი პასუხისმგებლობა გამოარჩევდა ამ დიდებულ პიროვნებას. ასეთი დარჩება იგი სამუდამოდ ახლობლებისა და მეგობრების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

## სურვილები... მილოცვები,

აგროსამრეწველო გაერთიანების კოლექტივი დაბადების 60 წლისთავს ულოცავს თავიანთ ღირსეულ წევრს, სოფლის მეურნეობის საუკეთესო სპეციალისტსა და მეგობარს ვაჟა ფიფიას.

მასვე უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ულევ სიხარულს.

---

დედა ტარო. დები: ნაზი. გულიმზე, გულიკო, ძმები: ზაური. ანზორი, წუგზარი. ამირი. თამაზი, დეიდა თამრო. მამიდები: ნინა. დოდო. ბიძა ზაქრო. ბიცოლა მედიკო. სიძეები არკადი ტოროლაშვილი გივი ბრეგლიანი, თაუზ გურჩიანი. დეიდაშვილები მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მურმანი ვაჟას ძე წერვაშიძე.

პანაშვიდი 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ყუფუნიას ქუჩა 26.

---

შვილები: ბელა. ციცინო. ძმა ჯუანშერ ზარნაძე. რძლები გოგუცა. ლილი. ძმისშვილები: ნაილი, ზაალი. მამუკა. ბადრი. სიძეები: ელგუჯა კვარაცხელია, ნუგზარი ლოსაბერიძე. შვილიშვილი ლაშა კვარაცხელია, მზახლები: ამირანი. ნუცა კვარაცხელიები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა (გოგონა) ელისეს ასული ზარნაძე-თავართქილაძე.

პანაშვიდი 8, 9 ივნისს 7 საათზე, დაკრძალვა 10 ივნისს 18 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, ბაქოს ქ. 41

---

სიდედრი მარგო. სიმამრი კაკო, ცოლისძმა ილიკო. რძალი ნუნუ ფიფიები, ქვისლი მურმანი გაბუნია, ცოლისდა თინათინი ფიფია ოჯახებით იუწყებიან

მურთაზ მიხეილის ძე ყალიჩავას

გარდაცვალებას.

---

მეუღლე თამარი. შვილები: დილარი. ომიკო, მიმოზა, ნანული. დები: ნაზია. გამა. რძლები: ნაზო, ინეზა ბულიები, ვენია შედანია, შვილიშვილები: გენადი, ლაშა. მედეა. ზვიადი. კობა, ანგელინა. ჯაბა. ლევანი. ძმები: ლუდა. გიგი. ბონდო ჯიქონაიები, დისშვილები: ლუსია. ლილა. მირდიკო, როინი. ზაური. ჰამლეტი, სვეტა ფუტკარაძეები. გიგლა, რევაზი. ციალა ჭითანავები, ცოლისდა კატუშა შედანია, ცოლისძმისშვილები, ცოლისდისშვილები, დეიდაშვილები. მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

იროდი მალხაზის ძე ბულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ივნისს, დაკრძალვა 12 ივნისს სოფ. ოდიშში (კალინინის უბანი).

---

მეუღლე ეკატერინა. შვილები: ლილი. ლამზირა. ვადიმი. სიძეები: ვიქტორ ნადოლგო, რაჟდენ ბექვაია. რძალი ტატიანა, შვილიშვილები: ნანა. ნინო. ნანა. რამაზი ბექვაიები, ვალერია ყურაშვილი. ბიძაშვილები: სონია. ჟუჟა. ტატი. შოთა ყურაშვილები. მამიდაშვილი ლუბა გოგია, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ამირან გაბას ძე ყურაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ენგელსის ქ. 19.

---

№12 ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი იუწყება

გიგლა გრიგოლის ძე მაქაცარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს უსაზღვრო განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანებისა და გაზეთ „ოდიშის“ რედაქციის მუშაკები იუწყებიან ზუგდიდის სტამბის ვეტერანი მუშის

იროდი მალხაზის ძე ბულიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ნაზო. მეუღლე ლევანი. შვილები ხათუნა. ზაზა ლურწკაიები. დები: ავლიანა. როზა წოწავები. დედამთილი ლოლული. მამამთილი ჭიჭიკო. მულები: ლიანა, მანანა. მაზლი ზურიკო ლურწკაია. დისშვილები: ნანი. ნანა. ჯონი. ჯენი პერტაიები, თეა. დათო. ჯემალი ჯანჯღავები. ბიძები ვალიკო. ჯოჯო სორდიები. სიძეები: იანი პერტაია. შაქრო კუკავა, თენგიზი ქირია. პაატა შელეგია. ბიცოლები: ლენა. თამარა. თინიკო, ბიძაშვილები ლელი. მარინა. გოდერძი წიწავები, გულიკო. ტიტიკო ქირიები. ზურიკო. ზამირა. იამზე. რუსიკო სორდიები ოჯახებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ქეთინო მირიანის ასული წიწავა-ლურწკაია.

პანაშვიდი 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს სოფ. ოქტომბერში.

---

ოთარ ფაცაცია ოჯახით იუწყება

ანზორ (გიგლა) დომენტის ძე ხოსრუაშვილის

გარდაცვალებას.

---

ოთარ ფაცაცია ოჯახით იუწყება

მურთაზ მიხეილის ძე ყალიჩავას

გარდაცვალებას.

---

რძალი მადონა გაბისკირია, შვილიშვილი ნათია აბსანძე, ძმისშვილები: ლამარა. ნათელა. როზენი, რუბენი აბსანძეები. დეიდა პისტი გვილია, ცოლისდები: თამარა. ბაბუცა, ფუფული თოდუები. ცოლისძმა ბორის თოდუა, რძლები: მანერა ნარსია. ლამარა ქანთარია. სვეტა ანთია, მანანა კაკულია. სიძეები: დავით სახოკია, ბოჩია საბეკია, ვაჟა ნაჭყებია, ორდე ძაძამია, მზახალი სულიკო გაბისკირია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები. მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

პლატონ დოროთეს ძე აბსანძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 ივნისს. დაკრძალვა 10 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გიორგი ჭყონდიდელის (ყოფილი ცხაკაიას) ქ. 38.

---

ქალაქ ზუგდიდის მეოთხე საშუალო სკოლის 1986 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

გიგლა მაქაცარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის სამედიცინო ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივი იუწყება კაპმშენებლობის დარგში დირექტორის მოადგილის

გიგლა გრიგოლის ძე მაქაცარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ბავშვთა სახალხო ანსამბლ „მახარია“-ს წევრთა მშობლები იუწყებიან

ქეთინო წიწავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე გრავაშა. შვილები: ზაური. ზაძირი. ზაალი. თამაზი, ძმა მიშა. და მარგო. რძლები: ჟუჟუნა ჯალაღონია. იზო ჯონჯუა. ნატო ლატარია. კლარა. შორენა. ნატაშა. სვეტა. დიანა, შვილიშვილები ნატო, კობა. გია, თამარი, დათო ფიფიები. ძმისშვილები ფირუზა. თენგიზი, დემური, აზა ფიფიები. ბიძაშვილები: ლუდა. ფუფული ფიფიები. რეზო. მურთაზი. ზაური. მანონი. ცოლისდები: ლიდა, ვარდო ზარანდიები, მზახლები ჯუმბერი. ნორა ჯონჯუები. ნანული ლატარია. ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

შალვა გიორგის ძე ფიფიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ივნისს. დაკრძალვა 12 ივნისს ს. ყულიშკარში.

---

№133 მოძრავ-მექანიზირებული კოლონის კოლექტივი იუწყება

მიხა ალექსის ძე ქარდავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

ვენერა ეტოს ასულ ტურავა-ბულიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

კატუშა და მეგონა ძაბტაშვილები, ალექსანდრე ხორავა შვილებით იუწყებიან დედისა და სიდედრის

ლოლა პავლეს ასულ ცანავა-კიკალეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 ივნისს სოფელ ჭუბურხინჯში (გალის რაიონი).

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რაღიოინფორმაციის —2-47-29

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკვ. №2919